

ვაკანსიის № 74046

თანამდებობის დასახელება	მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
პოზიციის დასახელება	ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	შესყიდვები
განცხადების ბოლო ვადა	12.10.2022
თანამდებობრივი სარგო	1210 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თერჯოლა
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	12 თვე

ფუნქციები

- ა) უზრუნველყოფს საკრებულოს, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობასთან, აღჭურვასთან, რემონტთან, კეთილმოწყობასთან დაგვადებასთან, კომუნალურ მომსახურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვას, შესწავლას და განხორციელების კონტროლს.
- ბ) უზრუნველყოფს მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის საჭირო სამუშაო საქონლის მიღება ჩაბარებისა და გახარჯული სამუშაო საქონლის აღრიცხვას;

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	1 წელი

საკონკურსო თემატიკა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	თერჯოლა რუსთაველის N109
საკონტაქტო ტელეფონები	599551870
საკონტაქტო პირი	ლელა ცხადაძე

დამატებითი მოთხოვნები

1 წლიანი სამუშაო გამოცდილება მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის ან/და საფინანსო მომსახურების მიმართულებით;
კომპეტენციები:
ანალიტიკური აზროვნება;
გუნდური მუშაობა;
დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
საკუთარი საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
დროის ეფექტიანი მართვის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია

- საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) - „ჩემი რეზიუმე“-ში კანდიდატმა უნდა მიუთითოს და ატვირთოს:
 - „სამოტივაციო წერილის“ ბლოკში სამოტივაციო წერილი;
 - „განათლება კვალიფიკაციის“ ბლოკში განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - „სამუშაო გამოცდილების“ ბლოკში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, არასრულად ექნება წარმოდგენილი მითითებული დოკუმენტაცია, ვერ გააგრძელებს კონკურსის მომდევნო ეტაპზე მონაწილეობას. დოკუმენტაცია ატვირთული უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა);
- კონკურსი ჩატარდება 3 (სამ) ეტაპად:
 - პირველი ეტაპი, აპლიკაციების შეფასება/გადარჩევა - რომლის შედეგების გამოცხადების შემდეგ კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებენ და მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც განაცხადების (აპლიკაციების) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. -კონკურსის მე-2 ეტაპზე კანდიდატების შეფასება მოხდება გასაუბრების ფორმით
 - მეორე ეტაპი, გასაუბრება - გასაუბრება ტარდება კანდიდატის ცოდნის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დასაკავებელი თანამდებობისადმი ნაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენით.
 - მესამე ეტაპი, შედეგების გამოცხადება - კომისია კენჭისყვის საფუძველზე პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.
- გასაუბრება წარიმართება ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობის და კორექტულობის პრინციპების დაცვით. გასაუბრების მეთოდები, დასმული კითხვები იქნება კორექტული, ხოლო კომისია - კეთილგანწყობილი და არ მოახდენს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ გავლენას.
- გასაუბრების დღეს ყველა კანდიდატი უნდა გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი - თერჯოლა რუსთაველის ქ N109) კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. კანდიდატმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება.
- კონკურსის თითოეული ეტაპის დასრულებისა და კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანდიდატებთან დაკავშირება მოხდება მათ მიერ განაცხადებში (აპლიკაციებში) მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება